საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№808 2016 წლის 11 მაისი ქ. თბილისი

„GG-B-UBR A6 საქართველოს შეიარაღებული ძალების მხარდაჭერის მიზნით, სარდლობისა და გაერთიანებული შტაბის კურსის განვითარების შესახებ“ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ თავდაცვის სფეროში საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრანტის თაობაზე

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს „GG-B-UBR A6 საქართველოს შეიარაღებული ძალების მხარდაჭერის მიზნით, სარდლობისა და გაერთიანებული შტაბის კურსის განვითარების შესახებ“ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ თავდაცვის სფეროში საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრანტის ხელშეკრულების ცვლილება.

2. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიენიჭოს უფლებამოსილება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რათა განახორციელოს ამ განკარგულების პირველ პუნქტში გათვალისწინებული ხელშეკრულებით ამერიკის შეერთებული

შტატების მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრანტით განსაზღვრული მომსახურების მიღება.

3. განკარგულება ძალაშია 2016 წლის 29 აპრილიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**